სავაკანსიო განაცხადი

თანამდებობის დასახელება:	**პროგრამისტი**
ხელშეკრულების ტიპი:	**საპროექტო, ერთჯერადი სამუშაო**
პროექტის ვადა:	1-დან 2 თვემდე
სამუშაოს დაწყების თარიღი:	არაუგვიანეს 2013 წლის 20 აპრილისა

დამქირავებელი კომპანია: **შპს „ალიანს ჯგუფი აი–თი“ ახალგაზრდა ქართული კომპანიია, რომელიც თავის საერთაშორისო და ადგილობრივ მომხმარებლებს სთავაზობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მრავალფეროვან და ინოვაციურ მომსახურებას. AG-IT სააქციო საზოგადოება „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“ შვილობილი კომპანიია. ვრცლად იხილეთ www.agh.ge**

პროექტის ხანგძლივობა: ერთიდან ორ თვემდე, დამოკიდებულია შერჩეული კანდიდატის უნარზე, თუ რა ვადებში დაასრულებს პროექტს. პროექტის დასრულების შემდგომ შესაძლებელია ვადიან შრომით პირობებზე შეთანხმება.

პროექტის ფარგლებში პროგრამისტს დაევალება:
მონაცემების მიგრაცია MS SQL ბაზებს შორის
არსებული პროგრამის დოკუმენტირება
ახალი პროგრამული მოდულების შექმნა
პროგრამული კოდის ცვლილება და დამატება

ანაზღაურება:
პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოსთვის ერთჯერადად გადასახდელი ჰონორარი შეადგენს 5,000 ლარს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების შემდეგ)

სამუშაო ადგილი:
აუცილებელი პირობაა, რომ საპროექტო სამუშაოს შესრულება განხორციელდეს კომპანიის ოფისში მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას 47/57

პროფესიული მოთხოვნები:

- C# (ASP.NET) და JavaScript პროგრამული ენების ცოდნა
- MSSQL მონაცემთა ბაზასთან მუშაობის გამოცდილება და უნარი
- IIS ვებსერვერთან მუშაობის გამოცდილება
- ვებ ტექნოლოგიები: HTML, CSS
- ოპერაციული სისტემა: MS Windows
- IDE: Visual Studio
- ვერსიების კონტორლის სისტემა: GIT
- ინგლისური ენის ცოდნა

- დეტალებზე ორიენტირებული, პედანტურობა მონაცემებთან მუშაობისას
- შესრულებულ სამუშაოზე სრული პასუხისმგებლობის გათვითცნობიერება
- სამუშაოს დაგეგმვის და ვადაში დასრულების უნარი
- პრობლემების გაანალიზების და დიაგნოსტირების უნარი

დაინტერესებულმა აპლიკანტებმა გამოაგზავნონ CV ელ–ფოსტის მისამართზე: applicant@agh.ge

გზავნილის თემის ველში, გთხოვთ, მიუთითოთ: Programmer/03-2013, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა არ მოხდეს თქვენი განაცხადის რეგისტრაცია.

განაცხადები განიხილება მიმდინარე რეჟიმში 2013 წლის 20 აპრილამდე.